



ქედის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 700
01/07/2019

დაბა ქედა

700-03-4-201907011015



ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 86¹-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეიქმნას ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თამაზ გოგიაშვილი - მოქალაქე (საპატიო ქედელი) საბჭოს წევრი;
- ბ) ნადეჟდა ჯაბნიძე - მოქალაქე საბჭოს წევრი;
- გ) დავით ანანიძე - არასამთავრობო (ა(ა)იპ ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი) საბჭოს წევრი;
- დ) თამარ ბოლქვაძე - მეწარმე (მეფუტკრე) საბჭოს წევრი;
- ე) ვარდო დუმბაძე - მეწარმე (კვების ობიექტის მეპატრონე) საბჭოს წევრი;
- ვ) ნუგზარ გოგიტიძე - მოქალაქე (ფერმერი) საბჭოს წევრი;
- ზ) მალხაზ გორგილაძე - მეწარმე (ოჯახის ტიპის სასტუმრო) საბჭოს წევრი;
- თ) ჯემალ თურმანიძე - მეწარმე (ოჯახის ტიპის სასტუმრო) საბჭოს წევრი;
- ი) ჯუმბერ დევაძე - მეწარმე (საკალმახე მეურნეობა) საბჭოს წევრი;
- კ) ზაზა ჯინჭარაძე - (მშენებელი, ბიზნესმენი) საბჭოს წევრი;
- ლ) ვახტანგ ბერიძე - (ინჟინერი, საპატიო ქედელი) საბჭოს წევრი;
- მ) სალომე ბერიძე - ახალგაზრდულიდან (ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი მშენებლობის სპეციალობით) საბჭოს წევრი;
- ნ) თინა თებიძე - ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი (მეწარმე) საბჭოს წევრი;
- ო) ვლადიმერ თებიძე - ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფიდან, საბჭოს წევრი;

2. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება თანდართული დანართის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 27 ივლისის №789 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

